

ნუნაოვანი

The image shows a decorative initial letter 'N' in blue and red, followed by the Georgian title 'ნუნაოვანი' (Nunaovani) in red and blue. The text is enclosed in a dark red, hand-drawn rectangular border.

111



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი



**ივანე იმნაიშვილის
დაბადების 111 წლისთავისადმი
მიძღვნილი საიუბილეო კონფერენცია**

12-13 იანვარი

**2017
თბილისი**

საორგანიზაციო კომიტეტი:
პროფესორი ნანა გაფრინდაშვილი
ასოც. პროფესორი ანა ხარანაული

რეგლამენტი:
მოსენება სხდომაზე – 20 წუთი
დისკუსია – 10 წუთი
სამუშაო ენა - ქართული

12 იანვარი

16.00

კონფერენციის გახსნა

თსუ, VIII კორპუსი, აუდიტორია 220

მისალმება - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი – ნანა გაფრინდაშვილი

I სხდომა

თავმჯდომარე - ვახტანგ იმნაიშვილი

მოგონებები - მზექალა შანიძე, ზურაბ ჭუმბურიძე
ვახტანგ იმნაიშვილი - ე-ფუმიანი გეოგრაფიული სახელების

კვიცა

დამანა მელიქიშვილი - ივანე იმნაიშვილის დვაწლი ქართული გრამატიკული აზრის ისტორიაში და გრამატიკული კვლევის განვითარების პერსპექტივები

ავთანდილ არაბული - ივანე იმნაიშვილი და რელატიურ-გარდაუვალ ზმნათა უღლებების ზოგი საკითხი

თამარ ოთხმეზური - მაქსიმე აღმსარებლის Ambiguorum liber ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში (წიგნის წარდგინება)

13 იანვარი

II სხდომა

16.00

თსუ, VIII კორპუსი, აუდიტორია 220

თავმჯდომარე - ანა ხარანაული

დარეჯან თვალთვაძე - ვანის ოთხთავის გადამწერის ანდერძი
ეკა კვიციანი - Ath. 62-ში დაცული გიორგი მთაწმიდლის
ცნობილი ანდერძი

ნათია მირიანაძე - პირველი მეფეთას საკითხავები ქართულ
ლექციონარში და ე.წ. ლუკიანური ტექსტი

ლიკა აბრამიანი - რას უსწორებს საკუთარ თავს გელათის კა-
ტენებიანი ბიბლიის რედაქტორი

თამარ მაგრაქველიძე - დანიელის წინასწარმეტყველების უც-
ნობი ქართული ფრაგმენტი

ნათია დუნდუა - "ტობის წიგნის" ქართული თარგმანის ტექ-
ნიკა მისი წარმომავლობის დასადგენად

ანა ხარანაული - ზირაქის წიგნის ოშკურ ბიბლიაში დაცული
ქართული თარგმანი

ნინო დობორჯგინიძე - ძველი ქართული ენობრივი მემკვიდ-
რეობის პუბლიკაციის თანამედროვე ტექსტოლოგიური
და ციფრული სტანდარტები (რა რჩება და რა იცვლება
ივანე იმნაიშვილის ეპოქალური მნიშვნელობის გამოცე-
მების შემდეგ)

ლიკა აბრალავა

რას უსწორებს საკუთარ თავს გელათის კატენებიანი
ბიბლიის რედაქტორი

გელათის კატენებიანი ბიბლიის ორი ხელნაწერი შემოგვრჩა: A-1108 და მისგან მომდინარე Q-1152. ეს კრებულები ქართული ენის ისტორიის საკვლევად უძვირფასესი დოკუმენტური მასალა, ბიბლიური ეგზეგეტიკისთვის მნიშვნელოვანი წყარო და ქართული ხელნაწერი წიგნის შექმნის ისტორიისთვის საინტერესო ნიმუშებია.

A-1108 ხელნაწერი ავტოგრაფ ნუსხას წარმოადგენს, რომელიც ორი სხვადასხვა რედაქტორის ხელითაა ნაწერი. ხელნაწერმა კარგად შემოგვინახა ფილოლოგიური მუშაობის კვალი. მთარგმნელს ტექსტში მრავალი შესწორება შეუტანია. შესწორებები სხვადასხვაგვარია - ერთი ასოს გადაშლა-ჩამატებიდან მთელი ფრაზის გადაშლა-ჩამატებამდე. რედაქტორი ხან შლის და იქვე აგრძელებს წერას, ხან მხოლოდ შლის, ხან კი გადაშლილს ზედ აწერს, როგორც ჩანს, ხელნაწერის გადაწერის შემდგომ, კორექტურის პროცესში.

ყველა ამგვარ შესწორებაზე დაკვირვება, მათი აღნუსხვა, ანალიზი და სისტემატიზაცია ნათელ წარმოდგენას შეგვიქმნის მთარგმნელის ტექსტზე მუშაობის პროცესზე შუა საუკუნეებში.

მოხსენებაში განვიხილავთ ფილოლოგიური მუშაობის მაგალითებს - კონკრეტულ, ლექსიკურ თუ გრამატიკულ კორექტურებს რუთის წიგნიდან (200v-206r).

ავთანდილ არაბული

ივ. იმნაიშვილი და რელატიურ-გარდაუვალ ზმნათა უღლების ზოგი საკითხი

რელატიურ-გარდაუვალ ზმნათა მრავალრიცხოვან ჯგუფში ოთხგვარი აგებულების ზმნები იყრის თავს; ეს არის: 1. ენინანი ვნებითები; 2. დონიანი და უნიშნო ვნებითები; 3. მედიოპასიურ ზმნათა მარკირებული ვერსიის რიგი და 4. ე. წ. სტატიკური ვნებითები. ამ ზმნათა ფორმაწარმოება განსხვავებას გვიჩვენებს ფაქტობრივ სამივე სერიის საუღლებელი სისტემის მიხედვით: პირველ ორ ჯგუფს ძირითადად საკუთარი ორგანული წარმოება მოეპოვება სამივე სერიისათვის; ხოლო მესამე-მეოთხე ჯგუფის ზმნები ნაკლები მწკრივების შევსებას ახერხებენ, ძირითადად, ენიანი ვნებითის მოდელით როგორც პირველ, ისე მეორე სერიაში, რაც თავის გაგრძელებას პოვებს მესამე სერიის მწკრივთა წარმოებაშიც.

რელატიურ-გარდაუვალ ზმნათა მესამე სერია არაერთგვაროვან სურათს წარმოგვიდგენს ძველი ქართული მწიგნობრობის ადრეულ ძეგლებში; გვხვდება როგორც ორგანული წარმოების მაგალითები: „და იქმნა კაცი იგი ყოლად მრთელ, ვითარმცა არარად შემთხუეოდა ვნებაჲ იგი“ (ზარზმ. 343, 8); ასევე ვლინდება აბსოლუტურ ზმნათა ანალოგიური აღწერითი წარმოება: „მერმე მიუთხრა ყოველი, რომელი შემთხუეულ იყო მისდა სღვასა მას შინა გზისასა“ (ასურ. 161, 24). ფორმათა ეს პარალელიზმი, როგორც ჩანს, შესაბამის მწკრივთა ისტორიული ფორმირების რთულ პროცესს წარმოაჩენს.

დასახელებული ტიპის ზმნათა უღლების საკითხებიც არის ძველი ქართულის გრამატიკის ერთ-ერთი იმ ასპექტთაგანი, რომლის დადგენაშიც პროფ. ივ. იმნაიშვილმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა.

ნინო დობორჯგინიძე

ძველი ქართული ენობრივი მემკვიდრეობის
პუბლიკაციის თანამედროვე ტექსტოლოგიური და
ციფრული სტანდარტები (რა რჩება და რა იცვლება
ივანე იმნაიშვილის ეპოქალური მნიშვნელობის
გამოცემების შემდეგ)

მოხსენებაში შევეხები შუა საუკუნეების ტექსტების დოკუმენტირებისა და კვლევის საერთაშორისო სტანდარტებს და ქართული ენობრივი მემკვიდრეობის გამოცემასა და შესწავლაში მათი დანერგვის პრობლემებს. განხილული იქნება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის კვლევითი პროექტები, რომლებიც ბმულებით არის დაკავშირებული შუა საუკუნეების კულტურული მემკვიდრეობის შემსწავლელ დიდ პროექტებთან.

ნათია დუნდუა

"ტობის წიგნის" ქართული თარგმანის ტექნიკა მისი
წარმომავლობის დასადგენად

"ტობის წიგნის" ძველი ქართული თარგმანი (OGeo) მისდევს ე.წ. მესამე ტექსტუალურ ფორმას (LXX^{III}), რომელიც ბერძნულად და სირიულად სულ რამდენიმე ხელნაწერთაა მოღწეული, ისიც არასრულად: ბერძნულად - *d* ჯგუფის ხელნაწერების სახით 69-12^{fin} მონაკვეთში და სირიულად (Sy) 711 καὶ vñ - 12^{fin} მონაკვეთში. ქართულად ამ, მესამე ტექსტუალური ფორმის სრული ვერსიაა შემონახული. ამას გვაპარაუდებინებს ის, რომ ტექსტის იმ ნაწილში (11-68, 131-1415), სადაც სხვა წყაროებში მესამე ტექსტუალური

ფორმა არ დასტურდება, ქართული თარგმანი იმეორებს LXX^{III}-ის ხასიათს: OGeo მთელი ტექსტის მანძილზე წარმოადგენს ერთგვარ კომპრომისს LXX^I და LXX^{II} ტექსტუალურ ფორმებს შორის და აქვს საკუთარი კითხვასხვაობებიც, რომელთაც წყარო არ ეძებნებათ. აღნიშნული კითხვასხვაობები არ ჰგვანან თარგმანის ტექნიკით ან ქართული ენის ბუნებით გამოწვეულ ცვლილებებს და ბერძნული დედნიდან უნდა მომდინარეობდნენ. იქ, სადაც ბერძნულ-სირიულ წყაროებში LXX^{III} არის შემონახული (69-122), OGeo სიტყვასიტყვით მიჰყვება ამ ტექსტუალურ ტიპს, ასახავს ბერძნული ტექსტის ყველა თავისებურებას (თხრობის გავრცობა-შემოკლება, სხვადასხვა ტიპის გრეციზმები). ამგვარი თარგმანის ტექნიკა საშუალებას იძლევა აღვადგინოთ სრული LXX^{III} ტექსტუალური ტიპი. მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება ამ თვალსაზრისის დამადასტურებელი მაგალითები (ზმნისწინები, წინდებულები, თანდებულები, კომპოზიტები, ტრანსლიტერაცია, დუბლეტები, ინფინიტური კონსტრუქციები, უზმნო წინადადებები და სხვ.) ტობის წიგნის მთელი ტექსტიდან.

დარეჯან თვალთვამე

ვანის ოთხთავის გადამწერის ანდერძი

ვანის ოთხთავის სახელით ცნობილი ხელნაწერი კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება A1335 ნომრით. თამარის ეპოქაში შექმნილი ეს მანუსკრიპტი კონსტანტინეპოლის მახლობლად მდებარე რომანას მონასტერში მოღვაწე ქართველ ბერს იოვანეს (იოვანე ცოდვილს, საპყარს) გადაუწერია, რასაც ხელნაწერზე დართული მისი რამდენიმე ანდერძი მოწმობს. მოხსე-

ნებაში განხილული იქნება ანდერძი (A1335, 266v), რომელშიც გადამწერი სახარების გიორგი ათონელისეული რედაქციის ტექსტის ავთენტურობის საკითხს ეხება და გადამწერთათვის „სანდო და უეჭვი“ დედნის მოძიების მნიშვნელობას უსვამს ხაზს. კოლოფონი საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის სახარების ტექსტისა და მასზე დართული გიორგი ათონელის ანდერძის მიზანიმართული („თვთ-შჯულობითი“) შესწორების შესაძლებლობაზეც, რასაც იოვანე გადამწერთა მიერ დაშვებული უნებლიე შეცდომებისაგან („მწერლისაგან განრყუნაჲ“) განასხვავებს.

მოხსენებაში დეტალურად განვიხილავთ იოანეს ანდერძის იმ მონაკვეთს, სადაც ის მის მიერ გადართული სახარების ტექსტის მომავალ გადამწერებს მიმართავს („აწ ვინცა სწერდეთ, ვითა აქა ჰპოოთ, ეგრე დაწერეთ წერტილითა და პატივთა ზედა მეორითა სიტყვთა“) და შევეცდებით პასუხი გავცეთ კითხვებს: რას ნიშნავს „წერტილითა დაწერა“ და როგორ შეიძლება გავიგოთ ფრაზა „პატივთა ზედა მეორითა სიტყვთა დაწერილი“.

ვახტანგ იმნაიშვილი

ე-ფუძიანი გეოგრაფიული სახელების კვება

გეოგრაფიული სახელი საკუთარი სახელია, მაგრამ ანთროპონიმებისგან განსხვავებით მათს კუმშვასა და კვეცას ტაბუ არა აქვს დადებული.

"საქართველოს გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონის" რეკომენდაციით, ჩვენს ტერიტორიაზე გავრცელებული ე-ფუძიანი გეოგრაფიული სახელები უნდა შეიკვეცოს. გამონაკლისია ორიოდე მოკლე ტოპონიმი (ვალე, რენე), მეგრული წარმოშობის სახელები ლე-ე და

ო-ე კონფიქსებით (ლებალათურე, ოჭუბერე...) და რუსულ-თურქულ-ადილური წარმოშობის რამდენიმე ერთეული.

მიუხედავად იმისა, რომ ქართულ ტოპონიმიკაში, გარდა ერთი მცირერიცხოვანი ჯგუფისა, ხსენებული ლექსიკონის რეკომენდაციით ე ხმოვაზე დაბოლოებული გეოგრაფიული ერთეულების კვეცა სავალდებულოა, ეს წესი სინამდვილეში არც ისე მყარი გამოდგა.

დღეს კანონიერი ე-მოკვეცილი ფორმების გერდით ე-მოუკვეცილი ფორმები. მომრავლდა. თუ ე-ფუძიანი გეოგრაფიული საელების კვეცასთან დაკავშირებით იტერნეტ-სივრცეში თვალს გადაავლებთ ამა თუ იმ სიტყვის უკვეცილ თუ შეკვეცლ ნიმუშებს, თვალში გეცემათ, რომ არცთუ იშვიათად დაკანონებული და არაკანონიერი ფორმები ერთიმეორის გვერდით იხმარება და ზოგჯერ ამ გაორებულ ფორმებს სტრიქონები ყოფს მხოლოდ ერთმანეთისგან.

წესი გვაქვს, მაგრამ სინამდვილეში ამ წესს ხშირად არღვევენ. დღეს ქართულში გამოიკვეთა ე-ფუძიან სახელებში ე-ს არმოკვეცის ტენდენცია. ზოგიერთ შემთხვევაში ამა თუ იმ გეოგრაფიული სახელის ე-მოუკვეცილი ფორმები რაოდენობრივად აჭარბებენ კიდევ ნორმით დადგენილებს.

ასეთი ორსახეობა სასურველი არ არის და ენამ ერთ რომელიმე ვარიანტს უნდა დაუჭიროს მხარი.

კვეცა-უკვეცლობის საკითხში ე ხმოვანი ოდითგან ა-ს უწყობდა ფებს და უპირისპირდებოდა ო-სა და უ ხმოვნებს, რომელთა უკვეცლობა თითქოსდა მყარია და შეუვალა. მაგრამ დღეს თვით ო და უ ხმოვნების მდგრადობას უკვეცლობის თვალსაზრისით ბზარი გაუჩნდა და ეს ხმოვნები ბრუნვის ნიშნებისა თუ, განსაკუთრებით, დერივაცილი აფიქსების დართვის შედეგად კვეცისადმი მიდრეკილებას ავლენენ. (წყალტუბის, საგარეჯის, ურარტული, ვანუატის...), ხშირ შემთხვევაში ი-ფუძიანი სახელების ბოლოკიდურ ი-ს ფუძის კუთვნილებად აღარ თვლიან და ბრუნვის

ნიშნად აღიქმება (ზამბეზზე, ჰელსინკში). არადა, ხომ ერთხმად აღნიშნავს გრამატიკის ნებისმიერი სახელმძღვანელო, რომ ო, უ და ი ხმოვნებიდან ერთადერთი ღვინო არის განცალკევებით მდგარი, მხოლოდ ის იკვეცება (ისიც, სანახევროდ – მხოლოდობით რიცხვში, მაგრამ არა მრავლობაში).

ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ენაში გეოგრაფიულ სახელთა ორთოგრაფიული ლექსიკონის მიერ დადგენილ უკვეცელ გეოგრაფიულ სახელებშიც კი შეინიშნება უკვეცელი სახელების გვერდით ე-მოკვეცილი ფორმების გაჩენა (ლემბამის, ლესიჭინის, ლეწურწუმის, ლებარდის...)

ეს ყველაფერი გვიბიძგებს, რომ გეოგრაფიულ სახელებში მხარი დავუჭიროთ ე-ს მოკვეცას, დღეს ჩვენ "ჰოს" ვიტყვით თუ "არას", ბოლოს მაინც ასე მოხდება, ე-ს მოკვეცა იმპლავრებს, გადააჭარბებს მოუკვეცელ ფორმებს და ე-მოკვეცილი ფორმები დაკანონდება. ამ საერთო ტენდენციას წინ ვერ აღუდგები, ასეთ ვითარებაში ქართული გეოგრაფიული სახელებისთვის უნდა დაკანონდეს ე ხმოვნის შეკვეცა (თვით ვალესა და რენეშიც) და მათ, ალბათ, თანდათან მეგრული ტოპონიმებიც მიჰყვება, რაკი აქაც კი ე-ს მოკვეცის პროცესი დაიწყო და მას ვეღარ შევაჩერებთ.

რაც შეეხება უცხოურ გეოგრაფიულ სახელებს, აქ ვითარება სხვანაირია. უმეტესობა ინარჩუნებს ფუძის ბოლოს ე ხმოვანს. ეს ასეც იყო მოსალოდნელი. ჩვენს ცნობიერებაში ისინი ხმოვანფუძიანი სახელები არიან და ეს მყარად გვაქვს გონებაში ჩაჭედილი. თანაც ხმოვანფუძიან საკუთარ სახელებში რეკომენდებულია ბოლოკიდური ხმოვნის შენარჩუნება, რადგან ამოსავალი ფორმის შეცვლამ შეიძლება ფორმის დამახინჯების გარდა პრაქტიკული გაუგებრობაც გამოიწვიოს.

კვა კვირკველია

Ath. 62-ში დაცული გიორგი მთაწმიდლის ცნობილი ანდერძი

ათონის მთის ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში დაცულ ოთხთავთა შორის გამორჩეულია 62-ე ნომრად აღნუსხული ხელნაწერი. იგი 1886 წელს აღწერილი აქვს ალექსანდრე ცაგარელს, მოგვიანებით კი, 1932 წელს, რობერტ ბლეიკს. Ath. 62-ის ფოტოპირი და მიკროფირი კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული. იგი XI საუკუნით თარიღდება. მასში ოთხივე სახარების ტექსტი სრულად არის წარმოდგენილი.

ხელნაწერს ატყვია რედაქტორული მუშაობის კვალი. რედაქტორი ასწორებს ძირითად ტექსტს, შლის ან ამატებს მასში სხვა რედაქციის წაკითხვებს. ტექსტოლოგიური ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ რედაქტორის სწორებები ხდება გიორგი მთაწმიდლის უკვე საბოლოო, ბერძნულ დედნებთან მესამედ შეჯერებული ტექსტის მიხედვით. რაც შეეხება პირველად ტექსტს, იგი განსხვავდება ათონური რედაქციის საბოლოო ტექსტისაგან, ხშირ შემთხვევაში მისდევს ჯრუჭ-პარხლის, იგივე ოპიზურ რედაქციას, მაგრამ არ არის მისი იდენტური. ჩვენი აზრით, იგი წარმოადგენს გიორგი მთაწმიდლის მიერ სახარების ბერძნულ დედანთან ორჯერ შედარების გზით მიღებულ ვერსიას.

რაც შეეხება გიორგი მთაწმიდლის ცნობილ ანდერძს, Ath. 62-ში მისი ბოლო ნაწილი შემოგვრჩა და მასზე ისეთი სწორების კვალი ჩანს, რომელსაც არც რ. ბლეიკი და არც ალ. ცაგარელი არ უთითებენ. არადა ეს სწორება ფრიად მნიშვნელოვანია. ფრაზა – *რომელმან ესე ვთარგმნე* – რედაქტორის ხელით არის ჩამატებული. მოვიყვანთ ანდერძის შემორჩენილი ნაწილის ტექსტს უცვლელად (297v):

„...[შე]გვჩამებია [ფრიადი]თა გამოწულილვითა. და ვინცა-
ვინ დასწერდეთ, ვითა აქა ჰპოოთ, ეგრე დაწერეთ, თუ
ამისგან ჯერ-გიჩნდეს დაწერად, ღმრთისათჳს სიტყუათა ნუ
სცვალებთ, არამედ... ღმრთისათჳს ერთმანერთსა ნუ
გაჰრევთ. და გლახაკისა გ~ისთჳს, რომელმან ესე ვთარგმნე,
ლოცვა-ყავთ!“

გამოდის, რომ Ath. 62-ში დაცული გიორგი მთაწმიდ-
ლის ანდერძი იმ იშვიათ ვარიანტს წარმოადგენს, რომელ-
შიც ათონელი მამა მხოლოდ რედაქტორად არის მოხსენიე-
ბული. რედაქტორის მიერ დამატებული ფრაზა კი მეორეუ-
ლია. ანდერძში დადასტურებული სწორება კიდევ ერთხელ
ამყარებს იმ ფაქტს, რომ ეს ხელნაწერი ერთ-ერთი უძველე-
სია, რომელშიც ათონური რედაქციაა დაცული და იგი მეც-
ნიერებისათვის აქამდე ცნობილ 1060 წელს გადაწერილ კა-
ლიპოსის ოთხთავს (ქუთ. 62) დაუდგა გვერდით, რომლის
ანდერძშიც მსგავსი სწორებებია გაკეთებული. Ath. 62-ში
დაცული ტექსტი მეტად მნიშვნელოვანია როგორც ტექ-
სტის სანდოობის თვალსაზრისით, ასევე, გიორგი მთაწ-
მიდლის რედაქტორული მუშაობის პროცესის რეკონ-
სტრუქციისათვის.

თამარ მაგრაქველიძე

დანიელის წინასწარმეტყველების უცნობი ქართული ფრაგმენტი

დაკარგულის პოვნა ყოველთვის სასიხარულოა, მაგ-
რამ სიმველეთმცოდნეთათვის ყოველი ახალი მასალის აღ-
მოჩენა ნამდვილი დღესასწაულია. რადგანაც ძველი აღ-
თქმის ხელნაწერები მცირე რაოდენობით მოვიდა ჩვენამ-
დე, პატარა ნაგლეჯის გამოჩენაც კი სიხარულთან ერთად

დიდი მეცნიერული ღირებულების მქონეა. ქართული და-კარგული ხელნაწერების მაძიებელმა ფრანგმა ქრთველოლოგმა ბერნარ უტიემ მრავალი ასეთი ფრაგმენტი გამოავლინა და შეისწავლა.

ცოტა ხნის წინ კიდევ ერთი ტკივილნარევი სიხარულის მომსწრენი გავხდით. საზღვარგარეთ აღმოჩენილ იქნა (აღმოჩენის ადგილი და ავტორი ჯერ-ჯერობით უცნობია) ძველი აღთქმის ხელნაწერის ფრაგმენტი - ორად გაჭრილი ფურცლის ერთი გვერდი, რომელიც არაბული ხელნაწერის საცავ ფურცელადაა გამოყენებული. იგი შეიცავს დანიელის წინასწარმეტყველებას 5:30-დან 6:5-მდე. ტექსტი ნაწერია ეტრატზე, ნუსხურით, კალიგრაფიული ხელით. ჩვენამდე მოღწეულ ფურცლის გვერდზე ერთი სვეტია, რომელიც თოთხმეტ სტრიქონს შეიცავს. აზნაცების დასაწყისში გამოყენებულია მთავრული საზედაო ასოები. ტექსტის ირგვლივ ფართო აშიაა დატოვებული.

უცნობი ხელნაწერის ფრაგმენტის ტექსტი ახლოს დგას იერუსალიმურ ხელნაწერში (Jer 11) შემავალი დანიელის წინასწარმეტყველების ტექსტთან, რომლისგანაც მხოლოდ მცირე ფონეტიკური და მორფოლოგიური ხასიათის იკითხვისებით სხვაობს. ოშკის ბიბლიის ტექსტთან მიმართებით საკვლევმა ტექსტმა უფრო მეტი და მნიშვნელოვანი სხვაობა გამოავლინა.

რაც შეეხება ბერძნულთან მიმართებას, გაირკვა, რომ მისდევს უფრო გვარცელებულ, თეოდოტიონის ტექსტს და არა სეპტუაგინტასას.

დამანა მელიქიშვილი

ივანე იმნაიშვილის ღვაწლი ქართული გრამატიკული აზრის ისტორიაში და გრამატიკული კვლევის განვითარების პერსპექტივები

I. ივანე იმნაიშვილი

ივანე იმნაიშვილი თბილისის პირველი უნივერსიტეტის 40-იანი წლების თაობის, აკაკი შანიძის სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელია, რომლის ფუნდამენტური ნაშრომები ძველი ქართული ენის ძეგლების ენობრივი და ტექსტუალური კვლევის აკაკი შანიძისეული კონცეფციის ბრწყინვალე განხორციელებას წარმოადგენს.

დღევანდელი გადასახედიდან, ჩემი, როგორც ბატონი ვანოს არაჩვეულებრივად მდიდარი მასალითა და გამოწვლილვითი კვლევით დატვირთული სემინარებისა და ლექციების მსმენელის თვალთახედვით, იგი იყო ძველ მოღვაწეთა დარად არა ამბიციური, მაგრამ ბუნებით მომადლებული აქტიური შემოქმედებითი ძალის მქონე პიროვნება, რომელიც ათეული წლების განმავლობაში ძველი ქართული ენის კათედრის წამყვანი პროფესორის თანამდებობაზე ღირსეულად, რუდუნებით ეწეოდა პედაგოგიურსა და მეცნიერულ მოღვაწეობას.

ჩვენ, მომდევნო 60-იანი წლების სტუდენტები ბატონი ვანოს საეტაპო მეცნიერულ და ქრესტომათიულ გამოცემებზე გავიზარდებით: ჩვენს ხელში გაცვდა მის მიერ შესრულებული და გამოცემული ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქციის ყვითელკანიანი გამოცემა; ასევე, მდიდარი ემპირიული მასალითა და გრამატიკული ფორმების ანალიზით გაჯერებული მთელი სერია ქართული ენის ისტორიული

ქრესტომათიისა, რომელიც - როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით - დღესაც უცილობელი სახელმძღვანელოა ქართველოლოგიის მომავალი სპეციალისტებისათვის, იმ პერიოდში კი, როდესაც არ ვიყავით განებივრებული ძველი ტექსტების გამოცემებით, ერთადერთი ადვილად მოსახელთებელი საშუალება იყო ძველი ქართული ენის ლაბირინთებში გარკვევისა და გაწაფვისათვის.

ბატონი ვანოს მოღვაწეობის დასაწყისის ფუნდამენტური, ენციკლოპედიური ნაშრომი - „სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში“ - რომელზედაც აღიზარდა ჩემი თაობა, ასევე დაიფურცლა ჩვენს ხელში, ხოლო ასეთივე ფუნდამენტური, ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომი - „ზმნა ძველ ქართულში“, რომლის გამოცემაც ივანე იმნაიშვილის გარდაცვალებიდან წლების შემდეგ, 1996 წელს დაგვირგვინდა გერმანიაში, მაინის ფრანკფურტში პროფ. ვახტანგ იმნაიშვილის ძალისხმევითა და თანაავტორობით, დღეს იმედით ელის ახალ თაობას, რომლის ხელშიც, იმედია, ესეც დაიფურცლება...

II. აქტივის კონვერსიული ფორმებისა და ზმნური ხმოვანპრეფიქსების გრამატიკული კვალიფიკაციისათვის (ძველი და თანამედროვე ქართული ენის მასალის ჩვენებით)

ივანე იმნაიშვილის ამ ფუნდამენტურ ორტომეულში ზმნური მასალის სკრუპულოზური ანალიზი ემყარება ტრადიციულ, აკაკი შანიძისეულ საკლასიფიკაციო კრიტერიუმს - გვარის კატეგორიას.

ჩვენს მოხსენებაში, ისევე, როგორც ივანე იმნაიშვილის ნაშრომებში ძველი ქართული ტექსტების მორფოსინტაქსური ანალიზის საფუძველზე ნაჩვენებია, რომ აქტივის კონვერსიის შედეგად მიიღება როგორც აქტივისა და ავტო-

აქტივის (რეფლექსივის) სემანტიკის მქონე, ასევე, პასიური სემანტიკის ომონიმური ფორმები [წყვეტილის ჯგუფში: *ვიწამე, მოვიკალ, დავივიწყე მე იგი... // ვიწამე, დავივიწყე მე (მისგან, მის მიერ); იწამა, მოიკლა (მისგან/მის მიერ); დაიკალ შენ იგი // დაიკალ შენ (=დაკლულ იქმენ) ჩუენ უდებთათგა...*] ომონიმის დასაძლევად ძველსავე ქართულში, ბერძნულიდან თარგმნის პროცესში, პასივისათვის წყვეტილის ჯგუფში ჩამოყალიბდა საკუთარი გრამატიკული ფორმა - აღწერთი, პერიფრასტული წარმოება: *ნამყო დროის მიმდებარება+იქნა (მოკლულ იქნა, დავიწყებულ ვიქენი...)*. აწმყოს ჯგუფში კი ჩამოყალიბდა აქტივის [R-th.suf.-0] სტრუქტურსაგან განსხვავებული [R-th.suf.-ი] მოდელი [აქტ.: *მოიკლა - მან იგი - კლ-ავ-ს, ხატ-ავ-ს, გმ-ობ-ს, იგი მას*; მაგრამ პასივი: *მოიკლა იგი > ი-კლ-ვ-ი-ს, ი-ხატ-ვ-ი-ს > ი-ხატ-ებ-ი-ს > ი-ხატ-ებ-ი-ა ; ი-გმ-ობ-ვ-ი-ს > ი-გმ-ობ-ი-ა შენ/იგი მისგან, მის მიერ...*), რომლის უნიფიკაციის შედეგად თანამედროვე ქართულის ზმნურ სისტემაში, აწმყოს ჯგუფში დამკვიდრდა *ი-ე-/უ-/0-R - ებ-ი* სტრუქტურა.

რაც შეეხება ზნურ *ი-, ე-, უ-* ხმოვანპრეფიქსებს, ძველი ქართულის, ისევე, როგორც თანამედროვე ქართულის ზმნური შესიტყვების ანალიზის საფუძველზე ნათლად იკვეთება მათი გრამატიკული ფუნქცია, რაც ზმნის ფორმაში მონაწილე პირთა კორელაციით, ერთურთთან მიმართებით განისაზღვრება; თავის მხრივ, პირთა კორელაციის *ი-, ე-, უ-* მარკერების სემანტიკური ფუნქცია კი შეიძლება იყოს კუთვნილება-დანაშინულების გამოხატვაც, ლოკალიზაციაც და, საზოგადოდ, პირის მატებაც, მაგრამ - არა გვარის გრამატიკული კატეგორიის მარკირება: *ი-* პრეფიქსიანი ზმნების უმრავლესობა სემანტიკურად ავტოაქტივებია, ასევეა, ე.წ. „უნიშნო ვნებითებიც“; *ე-* პრეფიქსიანების უმრავლესობაც - აქტიური სემანტიკისაა; რაც შეეხება - *ენ>ნ // -ედ>დ* სუფიქსებს (*განლოლ-ნ//დ-ა, განდიდ-ნ//დ-ა*),

ისინი მადინამიკურებელი, მაინტენსივებელი, სახელისგან ზმნის მაწარმოებელი სუფიქსებია, რომელთა გრამატიკული ფუნქცია არის სახელისაგან და სტატიკური ზმნისაგან დინამიკური (როგორც პასიური, ასევე, უფრო ხშირად - ავტოაქტიური და აქტიური სემანტიკის) ზმნის წარმოება და არა პასივის გრამატიკული კატეგორიის გამოხატვა.

ამგვარად, გვარის ტრადიციული გაგებით - აქტივ-პასივის დაპირისპირება ქართულ ზმნურ ფორმაში გრამატიკულად სათანადო ნიშნით მარკირებული არ არის. პასივის სემანტიკა აქტივისაგან გრამატიკულად, ფორმალურად პერიფრასტული წარმოების საშუალებით განსხვავდა. ქართული ზმნის ფორმების გრამატიკული კრიტერიუმით კლასიფიკაცია იძლევა მორფო-სინტაქსურად განსხვავებულ სამ ჯგუფს, რომელსაც დიათეზის გრამატიკული კატეგორია წარმოადგენს.

ნათია მიროტაძე

პირველი მეფეთას საკითხავები ქართულ ლექციონარში და ე.წ. ლუკიანური ტექსტი

პირველი მეფეთას ძველი ქართული ვერსიები შემონახულია ერთი მხრივ ბიბლიის ხელნაწერებში (Ath-1, A-51, A-646, Jer-113, ბაქარის ბიბლია), ხოლო მეორე მხრივ ლექციონარებში საკითხავების სახით. ხელნაწერები მათში წარმოდგენილი ვერსიების მიხედვით ოთხ ჯგუფად იყოფა: I. – Ath-1, A-51, A-646; II. – Jer-113; III. – ბაქარის ბიბლია; IV. – ლექციონარის საკითხავები.

I. (Ath-1, A-51, A-646) პირველი ტექსტობრივი ფორმა ლუკიანურია, დანარჩენ ტექსტობრივ ფორმებთან შედარე-

ბით, შეიცავს უმცროს მთარგმნელთა ვარიანტებს და კონტამინაციის ნიშნების მატარებელია.

II. (Jer-113) მეორე ტექსტობრივი ფორმა შემოკლებული ტექსტია. ამ ეტაპზე ძნელი სათქმელია, იგი შემოკლებული ბერძნული ტექსტის თარგმანია, თუ ქართველი მთარგმნელის ან რედაქტორის – შექმნილი.

III. მესამე ტექსტობრივი ფორმა – ბაქარის ბიბლიაში წარმოდგენილი ვერსია – სლავურის მიხედვითაა ნასწორები.

IV. მეოთხე ტექსტობრივ ფორმას პირველი მეფეთას ლექციონარში შესული საკითხავები ქმნის. იგი ამ წიგნის ბიბლიის ხელნაწერებში დაცული ვერსიისაგან განსხვავებულ თარგმანს წარმოადგენს (ამავეს ასკვნის უჩა ცინდელიანი თავის დისერტაციაში, რომელიც პირველი და მეორე მეფეთას ქართულ ვერსიებს შეეხება).

ტექსტის ბერძნულ წყაროებთან შედარებამ აჩვენა, რომ იგი ლუკიანური ტრადიციის ტექსტის თარგმანია, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ბერძნული წყაროებისაგან მცირე ნიუანსებით განსხვავებული. ამის სადემონსტრაციოდ მივმართავთ ლუკიანურ მატებებს:

1) პირველი მეფეთას ლექციონარში შესული საკითხავები შეიცავენ თითქმის ყველა მნიშვნელოვან მატებას, რომლებიც ლუკიანურ წყაროებშია წარმოდგენილი. მათაც, რომლებიც, მხოლოდ ლუკიანურ ხელნაწერებშია და მათაც, რომლებსაც ჰეგზაპლური თუ კატენური წყაროებიც იზიარებენ.

2) ზოგჯერ მატება ქართულში უფრო ვრცელია, ვიდრე ბერძნულში.

3) ზოგ შემთხვევაში ბერძნული და ქართული ვარიანტები ლუკიანური მატების ადგილით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ

1) იმ დროისათვის (მე-4 საუკუნე), როცა ბერძნული ლექციონარი შეიქმნა, ლუკიანური ტიპის ტექსტს უკვე საბოლოოდ ჩამოყალიბებული ფორმა ჰქონდა;

2) განსხვავებები ქართულსა და ბერძნულ ვერსიებში ლუკიანური ტექსტის ფორმირების პროცესზე გვიქმნის წარმოდგენას.

თამარ ოთხმეზური

მაქსიმე აღმსარებლის *Ambiguorum liber* ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში

ადრექრისტიანული საეკლესიო მწერლობის უდიდესი წარმომადგენლის, მაქსიმე აღმსარებლის ნაშრომი *Ambiguorum liber* (შედგება ორი თხზულებისაგან – *Ambigua ad Iohannem da Ambigua ad Thomam*) შუა საუკუნეების ქართული მწიგნობრული ტრადიციისათვის კარგად არის ცნობილი: ნაკვეთები *Ambigua ad Iohannem*-იდან წარმოდგენილია ექვთიმე ათონელის მიერ ნათარგმნ კომენტარული ხასიათის თხზულებაში "თარგმანებაჲ ძნიად გულისჯმისსაყოფელთა სიტყუათა ქრისტეს შობის საკითხავისათა", რომელიც განმარტავს და ერთვის გრიგოლ ღვთისმეტყველის "შობის" საკითხავს ამ ავტორის საკითხავთა ექვთიმესეული თარგმანების კრებულებში; ფრაგმენტები *Ambigua ad Iohannem*-იდან და *Ambigua ad Thomam*-დან, რომელთა თარგმანებიც გელათის მწიგნობრულ სკოლაშია შესრულებული, დასტურდება XII-XIII საუკუნეების კრებულში – A-52-ში.

ნაშრომში "მაქსიმე აღმსარებლის *Ambiguorum liber* ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში" წარმოდგენილია: (1) გრიგოლ ღვთისმეტყველის "შობის" საკითხავისა და

მაქსიმე აღმსარებლის *Ambigua ad Iohannem*-ის ნაკვეთების შემცველი თხზულების ექვთიმე ათონელისეული თარგმანის დიპლომატიურ-ინტერპრეტაციული გამოცემა (*edizione diplomatico-interpretativa*), რომელიც ეფუძნება *Ath. geo.* 68-s; (2) *Ambiguorum liber*-ის ფრაგმენტების გელათური თარგმანის კრიტიკული გამოცემა.

გამოკვლევაში, რომელიც უძღვის ტექსტების პუბლიკაციას, ყურადღება გამახვილებულია ექვთიმე ათონელის თარგმანების შემცველ ხელნაწერზე – *Ath. geo.* 68 (X საუკუნის ბოლო). ხელნაწერის ძირითად ტექსტში არაფორმალური ხელით შეტანილი ჩანართებისა და იმავე არაფორმალური ხელით შესრულებული ექვთიმეს პირადი მოსახსენებლის ანალიზის საფუძველზე გამოთქმულია თვალსაზრისი, რომ *Ath. geo.* 68 წარმოადგენს გადამწერთა მიერ სპეციალურად სწორებისა და რედაქტირებისათვის დაწერილ ტექსტს, რომელზეც მთარგმნელს აქვს ჩატარებული სარედაქციო სამუშაო. გამოკვეთილია ასევე შუა საუკუნეების ტექსტებზე მუშაობის სპეციფიკა – თარგმანის ზეპირი გზით შექმნისა და კარნახით ჩაწრის მეთოდი, რომელიც ტექსტების წერილობითი გზით შექმნის პარალელურად არსებობდა როგორც დასავლურ, ისე აღმოსავლურ ქრისტიანულ მწიგნობრულ ტრადიციაში; *Ath. geo.* 68-ში დაცული თარგმანები ექვთიმეს მიერ ზეპირი გზით შექმნილი ტექსტები უნდა იყოს, რომლებიც ექვთიმეს თანაშემწეთა მიერ მთარგმნელის კარნახით არის ჩაწერილი და შემდგომ რედაქტირებული ექვთიმეს მიერ.

გამოკვლევაში შესწავლილია ასევე ექვთიმე ათონელისეული და გელათური თარგმანების მიმართება ბერძნულ ორიგინალთან, მთარგმნელობითი მეთოდები, რომლებსაც მიმართვდნენ მწიგნობრები მაქსიმე აღმსარებლის ტექსტებზე მუშაობისას და სხვ.

ტექსტებს ერთვის ბერძნულ-ქართული და ქართულ-ბერძნული ლექსიკონები, პირთა სამიებელი, რეზიუმე ინგლისურ ენაზე.

ანა ხარანაული

ზირაქის წიგნის ოშკურ ბიბლიაში დაცული ქართული თარგმანი

ზირაქის წიგნი ძველი აღთქმის იმ წიგნთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელიც ებრაულ კანონს მიღმა დარჩენილი. თუმცა, სხვა ამგვარ წიგნთაგან განსხვავებით, დანამდვილებით ცნობილია, რომ ეს ტექსტი ებრაულად არსებობდა: ჩვენამდე მოღწეულია 9 ებრაული ხელნაწერის ფრაგმენტი, ებრაულიდან არის თარგმნილი სირიული ზირაქის ერთ-ერთი ვერსია (პეშიტო) და ისიც ცნობილია, რომ ეს წიგნი ებრაული ორიგინალიდან ბერძნულად ავტორის, ისუ ზირაქის ძის, შვილიშვილმა თარგმნა. უმთავრესად სწორედ ამ თარგმანის ფორმით გავრცელდა ზირაქის სიბრძნე: ის დაედო საფუძვლად სხვა თარგმანებს - ლათინურს, კოპტურს, ეთიოპურს, სომხურს, არაბულს, ქართულს.

ჩვენამდე მოღწეულ წყაროებში ზირაქის ტექსტის ეს მარტივი ფორმა გავრცობილი სახითაც არის დაცული. გავრცობების იდენტიფიკაცია, აღნუსხვა, მათი ხასიათისა და წარმომავლობის კვლევა ზირაქის წიგნის ტექსტის ისტორიის უმთავრესი პრობლემაა.

მოხსენება ეხება ოშკის ბიბლიის ტექსტს, როგორც გავრცობილი ტექსტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან, ზირაქის ტექსტოლოგიისთვის დღემდე სრულიად უცნობ წყაროს და მოკლედ ახასიათებს მას სხვადასხვა - წარმომავლობის, ისტორიის, ტექსტუალური ტიპის, თარგმანის ტექნიკის თვალსაზრისით. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მასალას, რომე-

ლიც აჩვენებს ქართულ თარგმანში დაფიქსირებული და ჩვენამდე არმოღწეული ბერძნული დედნის კვალს, რაც კიდევ უფრო მეტად უსვამს ხაზს იმ მრავალფერვნებას, რომლითაც ზირაქის წიგნის ტექსტუალური ტრადიცია ხასიათდება.

დაიბეჭდა თსუ-ის გამომცემლობის სტამბაში

0179 თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზირი 1

1 Ilia Tchavtchavadze Avenue, Tbilisi 0179

Tel 995 (32) 225 14 32, 995 (32) 225 27 36

[www. Press. tsu.edu. ge](http://www.Press.tsu.edu.ge)

